

საქოვერების მართვის ტრანსსასაზღვრო ასპექტები აზერბაიჯანის და საქართველოს მაგალითით

Azerbaijanian - Georgian Swiss Research Program on Pasture Management in Caucasus South – Results of Action Research in a transboundary region in Azerbaijan and Georgia under the FDFA program “Environment and Security”



Friends of
the Earth
Georgia

u^b

UNIVERSITÄT
BERN
CDE
CENTRE FOR DEVELOPMENT
AND ENVIRONMENT



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

Summary objectives

This project within the Swiss Federal Department of Foreign affairs (FDFA) research programme “Environment and Security” contributes to action research on pasture management in Azerbaijan (AZ) and Georgia (GE). This recent research phase (2014 - 2016) is focused on local needs of herders and locally based institutional development. Pasture management receives much attention at the national and international levels (Environmental Action Plans and implementation of Georgian new strategy on pasture use by Ministry of Agriculture), but people in remote rural or mountain regions of Azerbaijan and Georgia feel that their local situation is not sufficiently addressed: “Much is done in Tbilisi and Baku, but what about our – often transboundary – problems with pastures and overgrazing? Pasturing animals and herders as well don’t stop at national borders and this sometimes causes real conflicts.

Methods applied and participating institutions

To address this gap the FDFA programme “Environment and Security” with this specific project for the Caucasus South region seeks to supports bottom-up approaches on natural resources management – focus pasture management - including local transboundary institutional exchange and development. This Programme is jointly implemented by Azerbaijan Society for the Protection of Animals, the Green Movement of Georgia, and the Centre for Development and Environment (CDE) at University of Bern, Switzerland and partner State Universities of Baku and Tbilisi.

The overall aim is to foster locally-based cooperation by establishing a sustainable partnership between herders, researchers, governmental administration and local experts across the border.

Results

The following five key results exemplify the specific focus of this transformation and action research programme:

- Existing participatory methods and tools, developed by the Swiss Partner were adapted to the transition context in Azerbaijan and Georgia – focus pasture management
- In both countries community based workshops on main problems of local and transboundary pasture management were conducted. In a first participatory step local needs of herders were identified. In a second step a list of possible projects were identified and priorities for mitigation of problems were set jointly with herders


- Transboundary exchange and cooperation between herders associations was initiated for a specific transboundary region in Western Azerbaijan and Eastern Georgia (Gakh- Gazakh (AZ) and De-doplizskaro (GE) regions.
- Two priority pilot projects per neighboring country were identified and feasibility test were conducted
- A bottom-up policy dialogue oriented on these pilot transformation action was initiated aimed on governmental organization and ministries in the capitols Tbilisi and Baku. Issues discussed were real problems and needs of locally based pasture management and the role of applied research for mitigating these problems,

Azeri, Georgian and Swiss partners consider that research results and pilot projects will further local-level pasture and natural resource management. Moreover, they are convinced that re-establishing transboundary co-operation between Azeri and Georgian pastoralists and local administrations is important and contributes significantly to efforts at the government level – by establishing a science-practice interface communicating bottom-up and empowering herders voices to be heard in the Capitols

პროექტის ფარგლებში ტრანსასაზღვრო საძოვრების სივრცის შესაფასებლად სამუშაო ჯგუფი 13.06.2014 -ში გაემგზავრა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კახის რაიონის სოფელ ილისუში. სადაც შეხვედრები მოეწყო ადგილობრივ ფერმერებთან. ჯგუფი შეთანხმდა პრიორიტეტულ თემებზე რომელიც მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის საძოვრების განვითარებისათვის ტრანსასაზღვრო ზონაში.




14.06.2014 -ში ჯგუფი შეხვდა საქართველოში დე-დოფლისწყაროს რაიონში ადგილობრივ მმართველ ორგანიზებს და დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელობას დე-დოფლისწყაროს რაიონში, ასევე ადგილობრივ ფერმერებს და დაინტერესებულ ჯგუფებს სადაც მიმდებარე ტერიტორიაზე განხილული იქნა ზამთრის საძოვრების მდგომარეობა.



მიღებული შეთანხმების საფუძველზე ჯგუფი გაემგზავრა დედოფლისწყაროს რაიონის ზამთრის საძოვრებზე 2014 წლის 15-16-17-18-19-20 ნოემბერს რადროსაც მოახდინა ლანდშაფტური შეფასება და ადგილზე მეცხვარეებთან გასაუბრება, ასევე სხვადასხვა ფერმერებთან.



კვლევების საფუძველზე შეიქმნა დედოფლისწყაროს რაიონის გადასარეკი ბილიკების და ძოვების ადგილების რუქა.



კვლევების და მოძიებული მასალების საფუძველზე 06.05.2015 წელს მოხვდა სამუშაო ჯგუფის შეკრება საქართველოს მხარეს წითელ ხიდთან აზერბაიჯანის და საქართველოს დაინტერესებული ჯგუფების. ასევე საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ გარდაპირებული მუნიციპალიტეტის,

ახმეტის მუნიციპალიტეტის, დედოფლისწყაროს მუნიცი-
პალიტეტის, საქართველოს სოფლისმეურნეობის სამინი-
სტროს და საქართველოს დაცული ტერიტორიების წარ-
მომადგენლობა.



არსებული შეხვედრის საფუძველზე მომზადდა დასკვ-
ნითი სარეკომენდაციო დოკუმენტი:

=> გაფასარეალ ტრასების მოწყობალობა;



სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მარშუტი გადასარე-
კი ტრასების ფაქტობრივად გაუქმებულია, აღნიშნული
გზის მონაკვეთი მიუყვება საავტომობილო მაგისტრალს
ორივე მხრიდან, წარსულში ეს ადგილები თუ გამოირჩეო-
და ქარსაცავი ზოლებით და საძოვარი მდელოებით, ამჟა-
მად გვხვდება კომერციული ფართები გაკულტურებული
სახნავ-სათესი მინდვრებით, ამასთანავე აღსანიშნავია რომ
სახნავი ტერიტორიებს მფლობელ ფერმერს არ ყავს მა-
კონტროლებელი და ისინი ხშირად არღვევენ თავიათ საზ-
ღვრებს. რა თქმა უნდა თავიანთ სასარგებლოდ. რაც იწვევს
შემდგომში კონფლიკტს და მწყემსებს უწევთ ცხვრის ფა-
რების გადარეცვა საავტომობილო ასფალტით დაფარულ

გზაზე. მეცხვარეები ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასაც ითხოვენ. ამ ეტაპზე მთავარი პრობლემა ცხვრის გადა-სარეკი ტრასების მშენებლობაა. ტექნიკურ დასაბუთებაზე კონკურსი ჯერ კიდევ 2010 წელს გამოცხადდა. თუმცა, საკითხი დღემდე ვერ მოგვარდა. საქართველოში ცხვრის სეზონურ მიგრაციას ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებს შორის საუკუნეების ისტორია აქვს და ის ერთადერთი ქვე-ყანაა მთელს მსოფლიოში, სადაც პირუტყვი წელიწადში ორჯერ 200-დან 400 კილომეტრამდე გზას გადის. პირუ-ტყვის გადასარეკი ტრასა საქართველოს ოთხ რეგიონზე და ოც მუნიციპალიტეტზე გადის. არსებობს ამ გზის რუკა, მაგრამ იმის გამო, რომ რუკა ხარვეზებით არის შედგენი-ლი, ცხვრის გადასარეკი ტრასა ზოგიერთ ადგილებში კერ-ძო მესაკუთრეების მიწის ნაკვეთებზე გადის. ამის გამო ხშირია კონფლიქტი ადგილობრივებსა და მეცხვარეებს შორის. გარდა ამისა, დაავადებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, გარკვეული დასასვენებელი პუნქტებისა და იქ გასაბანებლებისა და დეზობარიერების მოწყობა. ზოგიერთ მონაკვეთში (მაგ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია) ად-გილი აქვს დიდ ფართობზე საინჟინრო ნაგებობების მშე-ნებლობას, ავტოდადგურების და სხვადასხვა შენობაზნაგე-ბობების განთავსებას, შესაბამისად, ცხვრის გადარეკვი-სათვის ტრადიციული მარშრუტი იცვლება, რადგან საკმა-ოდ დიდ მანძილზე, ავტობანზე და ავტოსადგურებზე, ქა-ლაქის კუთვნილ ტერიტორიაზე ცხვრის მოძრაობა შეუძლებელია, გზის გასწვრივ არის დიდი საფრთხე, რომ ცხვარი, პირუტყვი და მწყემსებიც კი დაზიანდნენ, გახ-შირებული მოძრაობის დროს საავტომობილო ტრანსპორ-ტის მხრიდან, რაც კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა.

⇒ გასაჩერებელი ადგილების არარსებობა;



გასაჩერებელი ადგილების სახელმწიფოს აღარ აქვს გამოყოფილი და მწყემსებს უხდებათ ინდივიდუალურად დაუმუშევარი ტერიტორიის ქირაობა, თუმცა ეს არასტაბილურია და ყოველ წელს იცვლება, დამოკიდებულია იმაზე თუ ვინმემ ვერ მოასწრო დამუშავება მიწის ან და სახსერები არ ეყო, რაც ფაქტიურად კვლავ დასწრების მექანიზმით ხორციელდება მწყემსებს შორის. ქართული ცხვრის ფასს საძოვრებზე არსებული მაღალი გადასახადები და საკვების ფასი აძვირებს: ფერმერს არც ფერმა აქვს და არც საძოვარი - ორიგეს ქირაობს. 1 ჰა საძოვარს, რომელშიც 2010 წლამდე 3 ლარს იხდიდა, ახლა 16 ლარად ქირაობს. 1000-სულიანი ფარისოვის მინიმუმ 400 ჰა საძოვარი სჭირდება, ამას დაამატეთ ფერმის ქირა და სხვა ხარჯები და ნახავთ, რომ 1 ცხვრის თვითლირებულებას უძვირებს. ეს ყველაფერი მიუთიერებს საკუთრების არაგამჭვირვალე სისტემაზე, რადგან დარგში საქმიანობისათვის არ არსებობს არავითარი მოტივატორი, რომელიც უბიძგებს მეცხვარეებს დარგის ინტენსიფიკაციისაკენ.

⇒ დასარცყალებელი ადგილების არარსებობა;

როგორც თავში ავღნიშნე ცხვარს ხშირად უწევს საავტომობილო გზის მონაკვეთების გავლა და შესაბამისად წყლის პრობლემაც აქტუალურია, განსაკუთრებით ზამთრის საძოვრების ტერიტორიაზე რადგან ეს ზონა არიდულია. ეს ყველაფერი იწვევს არცთუ იშვიათად ცხვრის დაცემას, რაც დაავადყოფებით და რიგ შემთხვევაში დაღუპვითაც სრულდება. განსაკუთრებით სარისკოა დედაცხვრის შემთხვევაში, რადგან არცთუ იშვიათად უწყლო ტერი-

ტორიაზე მოძრაობა ცხვარს მაკეობის პერიოდში უწევს. რაც შეეხება წყალსაქაჩებს და ხელოვნურ დასარწყულებელ ადგილებს, წარსულში არსებულები თითქმის მთლიანადაა გამოსული მწყობრიდან, ხოლო დღესდღეობით მათი აღდგენა ან ხელახალი გეგმარება არ მიმდინარეობს, არც მათი ოპტიმალური მდებარეობით განლაგების დაგეგმვაზეა საუბარი.



=> ვებარინარული პუნქტების არასაბობა;



ვეტერენალური პუნქტები არსებობს სამწუხაროდ რაიონულ ცენტრებში, ხოლო ცხვრის გადაადგილებას და მათ გზაში მომსახურეობას არავინ ასრულებს. რაც ერთი დაავადების პრევენცია არ არის გათვალისწინებული. საქმე ეხება როგორც ინფექციურს (თურქული და ა.შ.), ისე მწერების და ქვეწარმავლების ნაკბენისგან დაზარალების შემთხვევებს. ვეტერინარული პუნქტების არარსებობა ამცირებს ქართული ცხვრის რძისა და ხორცის პროდუქტებზე მოთხოვნილებას, მ.შ. ისეთ პროდუქტზე, როგორიცაა „გუდის ყველი“ რაც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური საფირმო პროდუქტია.

⇒ სხვა ინფრასტრუქტურული ერთეულები (ცენტრ-ობი, ბინაბის კათილმოწყობა, საკვების დახასრისხება-დამზადების აღგილები და მათი ტაქნილოგიური მხარე და ა.შ.)



სამწუხაროდ აღნინული საკითხი ერთერთი უმთავრესია რადგან მწყემსებს უწევთ ღია ცისქვეშ ყოფნა, სამწუხარო ის ფაქტია რომ რომც მოხვდეს ამ საკითხის განხილვა პირველი პუნქტი იჩენს თავს ანუ არ არსებობს გადასარეკი ბილიკი და შესაბამისად კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურაც შეუძლებელი იქნა. ეს კი თვალსაჩინოს ხდის იმას, რომ მეცხვარეები დარჩენილები არიან ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე. მით უმეტეს, რომ სიცხის, სიმშრალის პირობებში, ან უბედური შემთხვევის დროს (ავადმყოფობა, ქვეწარმავალი) დიდია ჯანმრთელობის და სიცოცხლის რისკები.

⇒ გადასარეაბილირების მდგრადი მოვლენები, მათი თანხველი სახელი მიწაზე და მრავალფლიური ნარგვებთან, ფასახლებებთან, პოტაციური აონფლიქტური მონაცემთაბის ფორმირება.

მიწის სიმცირე და რეგულაციების თუ საზღვრების არარსებობა იწვევს კონფლიქტს მეცხვარეებსა და ადგილობრივ ფერმერებს შორის, ხშირია შემთხვევები როცა ცხვარი გადადის ნათესებში და ძოვს;

- ასევე გზის მონაკვეთი რომელსაც გადის ცხვარი ხშირად ქმნის ხარვეზს სატრანსპორტო საშუალე-



ბისთვის განსაკუთრებით ხიდებთან და ისეთ მონაკუთხებზე სადაც ცხვარს უშუალოდ სამანქანო მაგისტრალის გამოყენება უხდებათ გადასაადგილებლად, რაც ქმნის კონფლიქტს მწყემსაბასა და მგზავრებს შორის, ყოფილა ავტოკატასტროფის შემთხვევებიც ესეთ მონაკვეთებზე;

- „ემიგრანტ მწყემსებს“ შორის, ისევ რეგულაციების და საძოვრების სიმცირის გამო, არ არსებული საძოვრების მარკირების და ასევე „დასწრების“ მეთოდიდან გამომდინარე ვინ მაღლე გაატარებს თავის პირუტყვს ქმნის ადგილობრივ მწყემსებთან კონფლიქტს.
- ძირითადი კონფლიქტი მაინც ისევ იმ ფერმერებს შორის რომელიც ერთნაირად სარგებლობენ ზამთრის საძოვრებით, ესენი იყოფიან 2 ძირითად ტრადიციულ ჯგუფად ერთის მხრივ „თუში მწყემსები“ და მეორეს მხრივ ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და ნაწილობრივ სამცხეჯავახეთის მწყემსები აქ საქმე გვაქვს დიდი ხნის ტრადიციას რომელსაც „თუში მწყემსები“ იცავენ და მათ თავიანთი ზონა აქვთ და მეორეს მხრივ ძლიერი ფერმერები რომლებსაც საძოვრების სიმცირის გამო უხდებათ „დასწრების“ მეთოდით ტერიტორიების გადაძოვება ეს ძალიან დიდი ჯგუფია და ამავდროულად აზერბაიჯანული ეთნოსის მქონე, რაც გადადის ეთნიკურ კონფლიქტში.

⇒ საძოვრების დეგრადაცია, ბალახის ხარისხის
გაუკრესება და კალორიული, საკვებად ვარგისი სახ-
ეობაბის ჩანაცვლება ნალებ კალორიული, ნალებ-
ვარგისი ფორმაციაბით;



შეგვიძლია ხმამაღლა ავღნიშნოთ ეს ფაქტი ყველაზე მწვავედ დგას და კლიმატის ცვლილებასთან ერთად ამის მიზეზი რა თქმა უნდა ანთროპოგენული ფაქტორიცა, ინ-ტესიური გადაძოვება, სეზონურობის არ დაცვის გამო ბა-ლახის ვეგეტაცის და სრულ ჩამოყალიბებამდე გამოყენება, ხშირია ჰერბიციდების შეტანა, ქარსაცავების გაჩეხვა და ამავდროულად წყლის უკმარისობა და ან ზოგიერთ ზონებში უცებადი მოდინება რაც ნიადაგის დამლაშებას იწვევს. ფიტომასის შემცირება, მისი პროდუქტიულობის შემცირება იწვევს ჰერიტორიის ტევადობის კლებას და სამომავლოდ რესურსის კლებას ტენდენციას. გარდა ამი-სა არსებობს რისკები, ცხვრის დაავადმყოფების და დანა-კარგის, რადგან ხშირ შემთხვევაში ცხვარი, რომელიც გა-ივლის სახნავებს, იკვებება ბალახით და ასევე მის ორგა-ნიზმში ხვდება სასუქი და სხვა შხამქიმიკარები. ეს კი არაერთი პირუტყვის სიცოცხლედ დამჯდარა, რაც აგრეთ-ვე სერიოზული პრობლემაა.

⇒ საძოვრების მიწის ფონდის კლება, გამოშორება, ფაქტურება, ნიადაგის ცროზია;

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და განსაკუთრებით რაც წინა პუნქტში ითქვა თავისთავად პასუხობს ნიადაგის დეგრადაციას. თითოეული საძოვარის გაკეთილშობილება, მოთესვა და მსგავსი ღონისძიება, დასვენება მ.შ. შეიძლება გააუმჯობესებდა მათ ხასიათს, თუმცა მსგავსი რამ არ მიმდინარეობს.



⇒ ხელოვნერი რაგულაციები, კარანტინი, ცხვრის და მიწის გვლობაების საკითხი, მიწათსარგებლობისთვის გაზრდილი გადასახადები, რომელიც მოგების მინიმალურ შასს თუ უტოვებს დასაქმებულებათ;

რამდენადაც ზემოთ მსგავს საკითხებზე უკვე გვქონდა საუბარი, არ არსებობს სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს მეცხვარეობის რენტაბელურობას, მის მომგებიანობას თითოეული მეცხვარისათვის. ფაქტია, რომ დარგი მიშვებულია ფინანსურულ და ძირიტადი რეგულაციები არის სახელმწიფო რეგულაციები, რომელიც მხოლოდ მოსაკრებლებში (არაერთი სახის) გამოიხატება და ქართული ცხვრის ბაზარზე გასვლას ხელს უშლის, ასევე აყენებს არათანაბარ კონკურენტულ გარემოში იმ ქვეყნის საქონელთან დაკავშირებით, რომელიც არ განიცდის მათი მთავრობებისგან ზეწოლას.

⇒ ხელოვნური საკვების დანამატი აუცილებელია, ცხვრის ჯანსაღი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ისე გადაძოვების შესაჩერებლად, მაგრამ გამომდინარე მისი ფასიდან მეცხვარეების თქმით ეს შეუძლებელია რაც ძალიან გაუძვირებთ მათ ცხვრის თვითლირებულებას. გარდა ამისა, წველადობის შესანარჩუნებლად და ყველაზე უფრო რთულ პერიოდში (მაკეობის, დოლის პერიოდში და პატარა ბატკნების ძუძუზე ყოფნის), მისი აუცილებლობა დგება და ამიტომ სიძვირის გარდა დგას საკითხი, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა სათანადო ხელოვნური საკვების შოგნა საერთოდ?

⇒ ბაზრის საკითხები, ფარგის განვითარების სტრუქტურის ვერ ვეაღვთ... მდგრადი განვითარების პრიცეპები არა არ მოქმედებას, არ ჩას მისი რაღაც ფორმაბიც აი;

ქართული ცხვრის საექსპორტო არეალი 2009 წელს გაიზარდა. საექსპორტო ქვეყნებში მოხვდნენ: ირანი, აზერბაიჯანი, ომანი, იორდანია, ლიბანი, ეგვიპტე, კატარი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები... როგორც ამბობენ, ეს ის შემთხვევა იყო, როცა ბაზარმა პროდუქტი თვითონ მოძებნა და ქართულმა ცხვარმაც არაბული ქვეყნების ბაზარზე ავსტრალიური, უკრაინული და ბრაზილიური ცხვრის ექსპორტი წარმატებით ჩაანაცვლა. ქართული ცხვრის მთავარი უპირატესობაგემოსთან ერთად, სიიაფე და საქართველოდან არაბულ ქვეყნებში ტრანსპორტირების დაბალი ღირებულება იყო. გაზრდილი მოთხოვნის გამო 5 წლის წინ ადგილობრივ ბაზარზე ცხვრის ფასი 60 ლარიდან 120 ლარამდე გაიზარდა. ფასის გაზრდას რეალიზაციის პრობლემა მოჰყვა და ქართულმა ცხვარმაც თანდათან ბაზარზე პოზიციები სხვა ქვეყნებს დაუთმო.

მეცნიერეთა ასოციაციის თავმჯდომარის, ბექა გონაშვილის განცხადებით, ქართულ ცხვარზე მოთხოვნის შემცირება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა: „ბაზრების დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სურსათის უვნებლობის სამსახური მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდა და რამდენიმე ქვეყანაში საქართველოდან დაავადებული ცხვარი შევიდა. ამის გამო დავგარეთ 2010 წელს ირანის და საუდის არაბეთის ბაზარი, არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა კი მოთხოვნები გაგვიმკაცრა. გასულ წელს ირანმა ისევ მოგვცა მათ ქვეყანაში ცხვრის შეყვანის უფლება, მაგრამ ბაზარზე დაკარგული ადგილის დაბრუნება ახლა არც ისე ადგილია. ცხვრის გასაყიდი ბაზრების დაკარგვის მთავარი მიზეზი მაინც ფასია. ქართული ცხვარი ძვირია: 40-კილოგრამიანი სომხური ცხვარი 80 \$ ღირს. საქართველოში ამ ფასად 30-კილოგრამიან ცხვარსაც ვერ იყიდით“. გამოდის, რომ თუ სომხური ცხვრის შემთხვევაში 1კგ-ის (ცოცხალი წონა) ფასი 2 ამერიკული დოლარია, 1 კგ ქართული ცხვარი - 3,5-4 დოლარი ღირს და შესაბამისად, არაკონკურენტულია. ამჟამად ქართული ცხვრის სტაბილური საექსპორტო ბაზრის სტატუსს მხოლოდ აზერბაიჯანი ინარჩუნებს: „12 ბაზრიდან მხოლოდ 1 ბაზარი დაგვრჩა და ამ ფაქტმა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდო. აზერბაიჯანში ჩვენი ცხვარი რომ გავიდეს, ამისთვის მათ საბაჟოზე არაოფიციალური გადასახადი უნდა გადავიხადოთ. აზერბაიჯანელებს ცხვარი ძირითადად „პოსლეზე“ მიჰყავთ. შარშან გაყიდული საქონლის ფული ძალიან ბევრ მეცხვარეს დღემდე არ მიუღია. ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი. აზერბაიჯანელებმა კარგად იციან, რომ სხვა მყიდველი არა გვყავს და იძულებულები ვართ, მათ მიერ წამოყენებულ კაბალურ პირობებს დავეთანხმოთ. საექსპორტო ბაზრების მოძიებაში ხელისუფლება უნდა დაგვეხმაროს. თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გვაქვს, მაგრამ ამ ქვეყანაში ვერც ცხვარი გაგვყავს და ვერც ცხვრის ხორცი გაგვაქვს. ამ პრობლემას მეცხვარეები ვერ მოაგვარებენ, ის მთავრობების დონეზე უნდა გადაწყდეს“, - ამბობს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე.

⇒ ადგილობრივ ფინანსურაზე, მოსახლეობაზე
მოქალაქეთი სტრატეგიის ფა ქადაგების არასა-
ბობა, რაც ვითარებას ხდის სრულიად კაოტურს.

აღნიშნული სტრატეგია საერთოდ არ განხილულა.



Основная проблема неустроенность перегонных трасс

Выделенный государством маршрут перегонных трасс фактически упразднен;

Отсутствие мест для стоянок;

Отсутствие водопойных мест;

Отсутствие ветеринарных пунктов;

Другие инфраструктурные единицы (родники, благоустройство квартир, места для сортировки и приготовления кормов, их технологическая сторона и т.д.);

Расположение перегонных трасс, их совпадение с пахотными землями, многолетними посадками, поселениями, формирование потенциально конфликтных участков;

Деградация пастбищ, ухудшение качества травы и замещение калорийных, пригодных для кормов видов на менее калорийные, менее пригодные формации;

Уменьшение фонда пастбищных земель, высыхание, осолонение, эрозия почвы;

Искусственные регуляции, карантин, вопрос владения овцами и землями, повышенные платежи за пользование землей, которые оставляют работникам едва ли минимальный шанс на прибыль;

Отсутствие искусственных кормов и, в некоторых случаях, дорогоизна;

Вопросы рынка, не видна стратегия развития отрасли.... , пока не действуют принципы устойчивого развития, даже не видны какие-то его формы;

Отсутствие стратегии и действий, расчитанных на местных фермеров и население, что создает совершенно хаотичную ситуацию.



